საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3752
22/07/2022

3752-21-2-202207221019

ი/მ თემურ ხომასურიძეს
მის: ქ.ზესტაფონი, ს. ზაქარიაძის №24ა, ბინა 14
ელ.ფოსტა: Temurixomasuridze1962@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2735 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ზესტაფონში, სერგო ზაქარიაძის ქ. №27-ში, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენის) საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი/დაზუსტებული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- მოცემული არ არის სკრინინგის განცხადების წარმოდგენის საფუძველი, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისი დანართით გათვალისწინებული ქვეპუნქტის მითითებით;
- დოკუმენტის თანახმად, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენის) საწარმო წარმოადგენდა ი/მ ნათია ხომასურიძის საკუთრებას. 2021 წლიდან, აღნიშნული საწარმო, ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, გადაეცა ი/მ თემურ ხომასურიძეს. სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს ი/მ ნათია ხომასურიძის მიერ საწარმოს ექსპლუატაციაში გაშვების თარიღი და ასევე, მესაკუთრის შეცვლის შემდგომ, საწარმოში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- წარმოდგენილი უნდა იყოს საწარმოში დამონტაჟებული დანადგარების შესახებ ინფორმაცია და მათი საპასპორტო მონაცემები (სახელმწიფო ენაზე).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

კვალიფიცური ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო